წლიწადი მეექვსე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  უ წ ი ნ ა რ ე ს  ყ ო ვ ლ ი ს ა

# თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

პარიზი
ივლისი 1931 წელი
№ 42

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII

რედაქტორი მ. წერეთელი.

Paris
Juillet 1931
No 42

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეალური ფუძენი თ. გ. იდეოლოგიისა.

> ეროვნული მთლიანობა დამყარებული
> ეროვნულ სინამდვილეზედ.
>
> პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვების
> მისახწევად საჭიროა გარკვეულ მიზანთა
> დასახვა, განუსაზღვრელი რწმენა, ურ-
> ყევი ნების-ყოფა, დარაზმულობა, დის-
> ციპლინა, თავგანწირულება.
>
> თ. გ. დებულებანი.

თ. გიორგის იდეოლოგია განსაკუთრებით ცხოვრების სი-
ნამდვილეზედაა დამყარებული. ამაშია მისი სიცოცხლის ძა-
ლა და გარანტიაც მისი გამარჯვებისა.

პრინციპები თ. გ. იდეოლოგიისა ორ გვარი სინამდვილი-
საგან წარმოიშვენ: ეროვნული და ევროპიული რეალობით-
გან.

საქართველო, ძალა-უნებლიედ, ევროპის პოლიტიკურ
რკალშია მოქცეული. ჩვენი ბედი ბევრადაა დამოკიდებული
იმისგან, რაც ხდება და რაც მოხდება ევროპაში. ამიტომ ქარ-
თულმა პოლიტიკამ ეროვნულთან ერთად ევროპიულ პირო-
ბებსაც უნდა გაუწიოს ანგარიში. დღეს ევროპაში სწარმოებს
მისი ბედის გადამწყვეტი ბრძოლა ორი პრინციპის შორის.
დაპირდაპირებულნი არიან ერთი მხრით დემოკრატიზმი,
რომლის საბოლოო განვითარება კომუნიზმია, და მეორე
მხრით ეროვნული სახელმწიფო. ერთ-ერთმა უნდა გაიმარ-
ჯვოს. გამარჯვება დემოკრატიზმისა ნიშნავს კომუნიზმის
გამარჯვებას. დემოკრატიზმი რაიმე ჩამოყალიბებული მოვ-
ნება არაა. დემოკრატიზმსა, სოციალიზმსა და კომუნიზმს
შორის თითქმის არავითარი სადემარკაციო ხაზი არ არსე-
ბობს. სამთავე ფაქტორი ერთმანეთითგან ლოღიკურად წარ-
მოდენილნი და წარმოშობილნი არიან. ვინც იცნობს ევრო-
პის პოლიტიკურ ისტორიას, მან უწყის თუ რა ჩქარი ტემ-
პით მიექანება დემოკრატიული წყობილება სოციალიზმ-კო-
მუნიზმისაკენ. სოციალიზმიო, ამბობს გამოჩენილი სოციო-
ლოგი ლებონი, საფრანგეთის დემოკრატიულმა რევოლუციამ
წარმოშვაო (1). სავსებით მართალია მარქსი, როდესაც ამ-
ტკიცებს, რომ დემოკრატიზმი სოციალიზმის საფეხური და
უმთავრესი მტაპთაგანიაო დიახ, დემოკრატიზმმა წარმოშ-
ვა სოციალიზმი და ამ უკანასკნელმა კომუნიზმი, ვითარცა
აბრაამმა შვა ისააკი და ისააკმა შვა იაკობი. სოციალიზმის
კონკრეტიზაცია კომუნიზმია. ხოლო კომუნიზმის განხორ-
ციელებით ევროპაში მოხდება იგივე, რაც რუსეთში: დამყარ-
დება «კონსომოლისტური» ზნეობა-ფსიქოლოგია, «სოვნარ-
ხოზების» ეკონომიკა, «სოვეტების» პოლიტიკური სისტემა,
«ჩეკის» ადმინისტრაცია. ეს კი ცივილიზაციის დანგრევას და
ბარბაროსობისადმი დაბრუნებას ნიშნავს. რაც შეეხება კერ-
ძოდ ჩვენ სამშობლოს, იგი საბოლოოდ და საუკუნოდ შთა-
ინთქმება გამარჯვებული რუსული კომუნიზმის უფსკრულ-
ში. სასურველია ეს? ვისაც ოდნავ მაინც შესწევს მამული-
შვილური გრძნობა, ვისაც პოლიტიკური მოღვაწეობა კომ-
ბინაციებად და პირადი ან პარტიული ინტერესების იარა-
ღად არ გაუხდია, იგი გადაჭრილი მტერი უნდა იყოს დე-
მოკრატიზმ-სოციალიზმ კომუნიზმისა, ამ ერთი და სამ-პი-
როვანი ბოროტებისა

თ. გ. იმ ევროპიელთა რიგებში სდგება, რომელნიც იბრძ-
ვიან ცივილიზაციის დასაცავად ბარბაროსობის წინააღმდეგ;
რომელთ არა სურთ მათი სამშობლო გახდეს მსხვერპლი იმ
ბნელი ძალებისა, რომელნიც ჟამთა განმავლობაში ყოველი
ცივილიზაციის წიაღში დაგროვდებიან ხოლმე ხშირად შნი-
შვნელოვან ძალად, დიდ საზოგადოებრივ რყევათა და კრი-
ზისების ჟამს სოციალისტური, კომუნისტური თუ სხვა სა-
ხით წამოჰყოფენ ხოლმე თავსა და ვითომცდა მაღალ პრი-
ნციპთა საბურველით გამოდიან საბრძოლველად კანონიერებისა
და კულტურის წინააღმდეგ. მათ «მაღალ პრინციპთა» უკან
იმალება მზაკვრობა, მათი ვითომცდა «საკაცობრიო იდეალი»
პირბადედ ეფარება მარცვის, გამდიდრების, ბატონობის,
ყოველგვარ გარყვნილებასა და სადისტურ ინსტინქტს.

ამ აჯანყებულ ძალთა მოქმედება ყოველთვის დამანგრე-
ველია, რათგან იგინი ყოველთვის უარყოფით, ანტისოცია-
ლურ ელემენტებისაგან შესდგებიან. ხდება ხოლმე, როდესაც
ეს ძალები კიდევაც იმარჯვებენ. — განა ბოროტს კეთილ-
ზედ აროდეს გაუმარჯვნია?—და მაშინ ინგრევა მთელ თაო-
ბათა ღვაწლი და შრომა, საუკუნეთა შემოქმედება.

ვით მიკრობები სნეულ სხეულში, აგრეთვე დიდ რყევათა
შემდეგ დაუძლურებული ევროპიული ცივილიზაციის უბეში
დაგროვილი მრავალი მავნე და უარყოფითი ელემენტი
დღეს წითელი დროშებით ხელში ლამობს მის დანგრევას
და დემოკრატიზმი ხელს უწყობს მას.

ვინაითგან საქართველოც აუცილებლად ევროპის ნანგ-
რევებში მოჰყვება, თუ ევროპა ნანგრევებად იქცა, ჩვენ თ.
გიორგელები ვსდგებით მათ რიგებში, ვინც ამ დამანგრეველ
ძალთა წინააღმდეგ იბრძვიან.

თუ გაიმარჯვა ეროვნული სახელმწიფოს პრინციპმა, იგი
გადასწყვეტს შრომის საკითხს ეროვნულ და საერთაშორი-
სო შესაძლებლობის ფარგლებში; დაამყარებს კლასთა სო-
ლიდარულ თანამშრომლობას ეკონომიური სამართლიანობის
ნიადაგზედ; პატრიოტიზმის საშუალებით შთაბერავს ხალხთ
ახალ სულს, ახალ ძალას, და ცივილიზაციას მისცემს ახალ
იმპულსს. მხოლოდ ამნაირ სად პატრიოტიზმზედ დამყარე-
ბულნი ერნი შესძლებენ საერთაშორისო სოლიდარობის
იდეალის განხორციელებას, და არა ერნი, მოცულნი კლასთა
ანტაგონიზმით და სამოქალაქო ომით. ამნაირად ეროვნუ-
ლი სახელმწიფოთი დაიწყება ახალი ხანა, ახალი აღორძინე-
ბა ისევე, როგორც მე-14-15-16 საუკუნეებში იტალიაში შეიქ-
მნა რენესანსი. და ეროვნული სახელმწიფოს გამარჯვება უდა-
ვოა და რატომ გაიმარჯვებს იგი, ამის შესახებ შემდეგ ვიტ-
ყვით.

შინაგან პოლიტიკაშიც თ. გ. მხოლოდ და მხოლოდ ეროვ-
ნულ რეალობას ემყარება. თვით წარმოშობა თ. გიორგისა
მოხდა იმ მომენტში, როცა ქართული საზოგადოება, დიდი
ხნითგან გატაცებული უნიადაგო, მავნე იდეებით, დაგრძავე-
ბული პარტიების მიერ, ცხოვრების მწარე სინამდვილის წი-
ნაშე დადგა და შეიგნო მთელი სიღრმე თავისი შეცდომისა.

უპირველესი სინამდვილე ჩვენი ქვეყნისა არის გ ლ ე ხ ი
და მ ი წ ა. გლეხკაცობა შეადგენს 80% საქართველოს მოსახ-
ლეობისას. მისი შრომა და ჯაფა ჩვენი არსებობის მთავა-
რი ფაქტორია. გლეხი ის ღერძია, რომლის გარშემო ტრია-
ლებს საქართველოს ცხოვრება. მიწა, მიწათ-მოქმედება ნამ-
დვილი დედა ძარღვია საქართველოს ეკონომიკისა და თა-
ნაც დიდი ფაქტორი ჩვენი ცივილიზაციისა. და ეს ფაქტი
კიდევ ვრცელი პერიოდის განმავლობაში ეროვნულ სინამდ-
ვილედ დარჩება. უდავო სინამდვილე, რომელიც გლეხთან
და მიწასთანაა დაკავშირებული, კიდევ შემდეგია: ჩვენი მი-
წის მაღალი ღირსება თხოულობს ინდივიდუალურ შრომას
და ნიჭს, ინდივიდუალურ შემოქმედებას, რამაც დასაბამით-
განვე ქართველ გლეხს კერძო საკუთრების ფსიქოლოგია,
გრძნობა უაღრესად შთაუნერგა და უკიდურესად განუვითა-
რა. ამიტომ მოსპობა კერძო საკუთრებისა, როგორც ეს ჩვენ
სოციალისტებსა სურსთ, იქმნება გადატეხა ქართველი გლე-
ხის ბუნებისა და ჩვენი მიწის მაღალი ღირსების დაყვანა
უმდაბლესზედ, რუსეთის სტეპების დონეზედ. ხოლო გადა-
ტეხა ხალხის იმ გრძნობისა და ფსიქოლოგიისა, რომელიც
მას ბუნებამ შთაუნერგა, მომაკვდინებელია.

ზემოდ მოყვანილ ეროვნულ სინამდვილეთაგან დასკვნათა
გამოყვანა ადვილია: საქართველოს მიწა უნდა შეადგენდეს
გლეხკაცობის, მიწათ-მომქმედთა კერძო საკუთრებას. ხოლო
გლეხი, მიწათ-მოქმედი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი
ცოდნით აღჭურვილი, რათა რაციონალური შრომით რაც
შეიძლება მეტი ნაყოფი ამოიღოს მიწითგან, გამდიდრდეს
თვით და ერიც გაამდიდროს. შეძლებული გლეხი სახელმწი-
ფოს სიმდიდრესა ნიშნავს. ჩვენ გვინდა ქართველი გლეხი
მიწის მესაკუთრე, საჭირო ცოდნით აღჭურვილი, ნივთიე-
რად შეძლებული და პატრიოტულად შეგნებული. ასეთია თ.
გიორგის ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში. იგი გამომ-
დინარეობს ეროვნული ვითარების სინამდვილითგან. ხოლო
ჩვენი აგრარული ეკონომიკა თან პოლიტიკური მნიშვნელო-
ბისაცაა, ვინაითგან თ. გიორგის სისტემის მიხედვით გლეხის
პოლიტიკური უფლებები დაკავშირებულია მის მიწათ-მოქმე-
დებასთან და მაზედ დამყარებული. ამნაირად გლეხის პო-
ლიტიკური უფლება ჰაერში ჩამოკიდებული კი არაა, რო-
გორც ეს ხდება დემოკრატიულ წყობილებაში, არამედ დაკავ-
შირებულია მიწასთან, რითაც მას ექმნება ურყევი რეალური
ნიადაგი.

მეორე სინამდვილე: კლასთა სოლიდარობის საჭიროება.
იქ, სადაც არ არსებობს კლასთა სოლიდარობა, არ არსე-
ბობს ეროვნული მთლიანობა; ირღვევა ნორმალური ცხოვ-
რება ხალხისა და ეროვნული ორგანიზმი სნეულდება. ერი
მხოლოდ მაშინა სდგას წარმატების და ძლიერების გზაზედ,
როდესაც მისი შემადგენელი ელემენტები ურთი-ერთს ჰარ-
მონიულად ეგებიან და შეთანხმებით თანამშრომლობენ. ამ-
ნაირად ჰარმონიის დარღვევასთან ერთად იწყება ერის და-
ქვეითება, დასუსტება, დაცემა. ერი სნეულდება ვით ადამია-
ნის სხეული, რომლის ორგანოთა შორის დარღვეულია ფუნ-
ქციათა საჭირო ჰარმონია. თუ ეს ასეა სხვა ერთათვის, მით
უმეტეს მართალია საქართველოსათვის. ერთად ერთი საშუა-
ლება ჩვენი ეროვნული თავდაცვისა ეროვნულ სოლიდარო-
ბაში და მთლიანობაში მდგომარეობს. საქართველოს ისტო-
რიის ერთ უდიდეს სინამდვილეთაგანი ისაა, რომ მან უამ-
რავ მტერს საუკუნეთა განმავლობაში იმიტომ გაუძლო. რომ
კლასთა ბრძოლათ აროდეს ყოფილა მოცული (1). ეს სინამ-
დვილე დღესაც უწინდელი ძალით რჩება: ისევ უწინდელი
პატარა საქართველო და ისევ ძლიერნი მტერნი.

ხოლო ერისავე ინტერესი მოითხოვს ყოველი კლასის
ნივთიერად უზრუნველ-ყოფას, რასაც დემოკრატიზმი და
მარქსიზმი უარ-ჰყოფენ. პირველი ბურჟუაზიის უპირატე-
სობის მომხრეა და მეორე კი მუშათა კლასის გარდა ყველა
კლასთა განადგურებასა ლამობს.

ამიტომ თ. გიორგისა სურს შრომის საკითხის გადაწყვეტა
ეკონომიური სამართლიანობის ნიადაგზედ და მით კლასთა
სოლიდარობის დამყარება.

ერთი დიდი ეროვნულ სინამდვილეთაგანი კიდევ შემდეგია:
საქართველოს გეოგრაფიულმა, ისტორიულმა და ეთნოგრა-
ფიულმა პირობებმა შეჰქმნეს კუთხეთა და თემთა განსხვა-
ვებანი. ქართველი ხალხის დამახასიათებელი მხარე მისი
ინდივიდუალიზმია. ეს მოვლენა, ე. ი. კუთხეთა და თემთა
თავისებურებანი, უდიდესი წყაროა ქართული კულტურისა.
ეს კუთხურ-თემური ინდივიდუალიზმი ეროვნული მიზან-შე-
წონილობით უნდა იყოს გამოყენებული და მისი შემოქმედე-
ბა ეროვნული ინტერესებისადმი მიმართული. მისი გამოხრ-
ჩობა ცენტრალისტურ სისტემაში უდიდესი დანაშაული იქმ-
ნება და ერის დამასუსტებელი, ერის გუნების გადამტეხი.
არ შეიძლება ერის შეგუება განყენებულ დემოკრატიულ და სო-
ციალისტურ დოქტრინებთან. თვით დოქტრინანი უნდა იყოს
საკმარისად ელასტიურნი, რათა ერის ცხოვრების პირობებს,
სინამდვილეს და მის ბუნებას ეგუებოდნენ.

ეროვნული სახელმწიფოს დიდი ღირსება იმაში მდგომა-
რეობს, რომ იგი ყოველი ერისათვის შესაფერ სახეს იღებს.
ამ საკითხსაც შემდეგში დავუბრუნდებით.

უდავო ისტორიული სინამდვილეა, რომ საქართველო არა-
დროს ყოფილა ცენტრალისტურად მოწყობილი. არც «ოქროს
ხანის» წინ, ბაგრატ III-ისა და ბაგრატ IV-ის დროს, არც
«ოქროს ხანაში», არც მეფე ალექსანდრე დიდის ხანაში,
არც მაშინ, როდესაც გიორგი სააკაძემ შეაერთა ქართლ-კა-
ხეთი თეიმურაზ I-ის გვირგვინის ქვეშ, არც მაშინ, როდესაც
ეს ორი სამეფო როსტომ მეფის ხელით შეერთდა და არც
თეიმურაზ II-ის და მისი შვილის ირაკლი დიდის დროსა.
ჩვენ მეფეებს კარგად ესმოდათ, რომ პოლიტიკური წყობი-
ლება უნდა იყოს უტყუარი სახე ერის სინამდვილისა. მათ
პოლიტიკური თეორიები ჟ. ჟ. რუსოსაგან და მარქსისაგან
არა ჰქონდათ შეთვისებული, არამედ თვით საქართველოს
ცხოვრებითგან დასკვნილი და დამუშავებული.

ემყარება რა თ. გიორგი ამ ისტორიულ, გეოგრაფიულ და
ეთნოგრაფიულ სინამდვილეზედ, —რეალობაზედ, იგი მომხ-
რეა ფართო დეცენტრალიზაციისა, რომლის წიაღში ცენტრი
იქმნება შედეგი პერიფერიებისა და მათგან დამოკიდებული
და არა პერიფერიები ცენტრისაგან.

თ. გ. არჩევნების უფლებაც ორ რამეზეა დამყარებული:

1) ცხოვრების სინამდვილეზედ. ვინაითგან ეს უფლება
დაკავშირებულია სამეურნეო ფაქტორებთან. საწარმოო
დარგში იგი წარმოსდგება კორპორატიულ დაწესებულებები-
თგან, სამიწათმოქმედო დარგში კოოპერატივებითგან და
გონებრივ შემოქმედების დარგში თავისუფალ პროფესიათა
კავშირებითგან. ამნაირად ჩვენი არჩევნების უფლება გადამ-
მულია ეკონომიურ და გონებრივ შემოქმედების ფაქტორებ-
თან. გარდა ამისა თვით ამომრჩეველნი დარაზმულები არიან
ძლიერ ორგანიზაციებად და ამით მათ თავიანთ წარმომად-
გენლებზედ პარლამენტში ყოველ დღიური კონტროლის უფ-
ლება და შესაძლებლობა აქვსთ, რასაც დემოკრატიულ და
სოციალისტურ წყობილებაში იგინი სავსებით მოკლებულნი
არიან და ამიტომ ყოველთვის პარტიათა პირად ინტერესე-
ბის მსხვერპლად და იარაღად სდებიან.

2) თ. გ. არჩევნების უფლება დამყარებულია სამართლია-
ნობაზედ და თანასწორობაზედ. დემოკრატიული და სოცია-
ლისტური სისტემები კი სავსებით მოკლებულნი არიან სა-
მართლიანობასაც და თანასწორობის პრინციპსაც. მართლაც,
ამ ორი სისტემის წყალობით ყოველ მოქალაქეს ერთი ხმის
უფლება აქვს, კარგია თუ ავია იგი, სასარგებლოა თუ მავნე
წევრი საზოგადოებისა, შემოქმედია თუ მუქთ ხორა პარა-
ზიტი, ნივთიერ და გონებრივ ღირებულებათა ან ერის სიმ-
დიდრის შემქმნელი ქარხნის მუშაა, ან გლეხია, რომელიც
მიწას ოფლს აღვრის, ან გონებრივად შემოქმედი, თუ ვინ-
მე ოხერი, მავნე სპეკულიანტი, ან ქუჩის მაწანწალა. განა ეს
თანასწორობა და სამართლიანობაა? განა სამართლიანია,
რომ იმ მუშასაც, რომელიც დღეში 10 საათს მუშაობს, და
მასაც, რომელიც მხოლოდ სამ საათს მუშაობს, ერთი და
იგივე ხელფასი მიეცეს? აშკარაა დემოკრატიული და სოცია-
ლისტური სისტემები ყოველგვარ სამართლიანობას და თა-
ნასწორობის პრინციპს მოკლებულნი არიან. თანასწორობის
პრინციპის განხორციელება პოლიტიკურ უფლებათა დარგ-
ში მხოლოდ მაშინ იქმნება მიხწეული, როცა ხმის მიცემის
უფლება მინიჭებული ექმნება მოქალაქეთ იმ სარგებლობის
მიხედვით, რომელიც მათ საზოგადოებისათვის მოაქვსთ.
თ. გიორგის სისტემით არჩევნების უფლება მინიჭებულია
იმ სოციალურ ფუნქციათა მიხედვით, რომელს საზოგადოე-
ბის წევრი ასრულებს.

იდეოლოგია, რომელიც დამყარებულია კლასობრივ ბატო-
ნობის პრინციპზედ, შეუძლებელია სამართლიანი იყოს და
ცხოვრების სინამდვილეს არ შორდებოდეს. ხოლო იდეო-
ლოგია ეროვნული, როგორიც თ. გიორგულია, რომლის საგანს
მხოლოდ ეროვნული ინტერესები შეადგენს, ბუნებრივად
სამართლიანია და წარმოშობილი ეროვნულ სინამდვილეთა-
გან და ეროვნულ სინამდვილეზედ დამყარებული.

ჟამთა წამხდრობისაგან წარმოშობილ იდეებს, როგორიც
არის დემოკრატიული და სოციალისტური იდეები, ჟამნივე
წაიღებენ თანა, ხოლო უკვდავი სინამდვილე —ერი—რჩება
და განაგრძობს თავის ცხოვრებას და ბრძოლას არსებობი-
სათვის. თ. გიორგი კი თვით ერთანაა ორგანიულად დაკავ-
შირებული და ამაშია მისი გამარჯვების უტყუარი გარანტია.
ვინც ვერა ხედავს, რომ მომავალი დამოუკიდებელი და სო-
ციალისტ-კომუნისტური სენითგან განთავისუფლებული საქართ-
ველოს ცაზედ თ. გიორგის მზე ამოვა, იგი ყოვლად ბრმა და
უმეცარია.

ლეო კერესელიძე.

---

1) იხ. G. Le Bon: Les opinion გვ. 69.

2) რასაკვირველია ჩვენშიაც არსებობდა შინაგანი ბრძოლა
ფეოდალთა შორის და ფეოდალთა და მეფის შორის, რო-
გორც ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში, მაგრამ ეს სულ
სხვა საკითხია და კლასთა ბრძოლასთან საერთო არა აქვს რა·

## კვლავ დეცენტრალიზაციისათვის.

თეთრი გიორგის ერთ ერთი დიდი ღირსება და დამსახურებათაგანი ქართული ეროვნული პოლიტიკის განვითარებაში ის არის, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება ეროვნულ რაობას და ყველა მის მიერ წამოყენებული პრინციპი ეროვნულ თავისებურებათა საძირკველზედ ააშენა.

თეთრ გიორგის, რომელიც ყოველთვის ქართველი ერის წარსულიხა და აწმყოს შესწავლით გამოდის საქართველოს მომავლის განსაზღვრისათვის, შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ ჩვენი ისტორიის ბრწყინვალე ფურცლებსაც ავსებს ამბები ხშირად მეტად შემზარავი, ცენტრისა და პერიფერიების შორის გამძვინვარებული ბრძოლებისა. ცენტრალურ აპარატს ხან ერთნი ფლობენ, ხან მეორენი. ამ ნიადაგზედ ყოველთვის ქიშპობა და ბრძოლები იყო კუთხეთა და თემთა შორის. და როგორც წინა წერილებში დავრწმუნდით, ჩვენი ეროვნული პოლიტიკის იმ დროინდელ მესვეურთათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ეს გარემოება და თითქმის ყოველი მეფის დროს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის წესები თემოკრივი პრინციპით ერთგვარი სახელმძღვანელო პრინციპი ყოფილა.

უკანასკნელად მთელი საუკუნის ტყვეობითგან განთავისუფლებული და დამოუკიდებლობის გზაზედ შემდგარი საქართველო უვარდება ხელში სოციალ-დემოკრატებს. ეს უკანასკნელნი საქართველოს ბუნებისათვის შეუფერებელი და მისთვის არ ნაზული ცენტრალისტური რეჟიმით საქართველოს აღორძინების მაგიერ დაღუპვისაკენ მიაქანებდენ. ამითვე გადაჰკიდეს ერთი პროვინცია მეორეს და რომ 1921 წ. საქართველო ბოლშევიკებს არ დაებყროთ და საქართველოში არსებული რეჟიმი გაგრძელებულიყო, ჩვენი საქმე ტრაღიკულად დამთავრდებოდა.

თეთრმა გიორგიმ განითვალისწინა რა ესე ყოველი, საქართველოს მომავალი ეროვნული სახელმწიფოს მართვა-გამგეოგის ორგანიზაციისათვის წამოაყენა პრინციპი დეცენტრალიზაციისა, რომელიც ერთად-ერთი საშუალებაა აღმოფხვრას საქართველოში საუკუნოებით შექმნილი კუთხეთა შორის შუღლის და გაუტანლობის მიზეზი, მიეცეს ყველა პროვინციას გასაქანი, საშუალება ინიციატივისა, შემოქმედებისა და ადგილობრივი კულტურული ცხოვრების აღორძინებისა, და შეიქმნას კუთხეთა და თემთა შორის თანამშრომლობა და სოლიდარობა, ნამდვილი გრძნობა ძმობისა და სიყვარულისა, რაიცა გარანტია იქმნება საქართველოს მთლიანობის დაცვისა და აღორძინებისა.

როდესაც თეთრმა გიორგიმ ეს პრინციპი წამოაყენა, გარდა ჩვენი წარსულისა და აწმყოსი, ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოთა უმრავლესოგის მაგალითებითაც ხელმძღვანელობდა იგი.

და იმის მაგივრად რომ თ. გ. მიერ წამოყენებულ, საქართველოს სინამდვილისათვის ამ მეტად დელიკატურ საკითხისათვის ჩვენ პოლიტიკურ წრეებს ღირსეული ყურადღება მიექციათ,—მხოლოდ იმიტომ რომ თეთრმა გიორგიმ გამოსთქვა ეს აზრი, ყველამ ერთად, დიდმა თუ წვრილმა, მეცნიერმა თუ უმეცარმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ზოგმა უვიცობით და ზოგმა განგებ დაიწყო ყვირილი: ეს ავადმყოფობაა, თეთრ გიორგელებს საქართველოს დანაწილება უნდათო და სხ. და სხვა.

რასაკვირველია იმ ხალხს, რომელსაც ძალიან კარგად ეს მის დეცენტრალიზაციის მნიშვნელობა, რომელმაც კარგად იცის, რომ ის დანაწილებას არ ნიშნავს, მხოლოდ ჩვენ წინააღმდეგ სადემაგოგიოდ სჭირდება ასეთი აურ-ზაური.

პარიზის ქართული კოლონიის სხდომაზედ ა.წ. 19 აპრილს ბ. ალ. ასათიანმა წაიკითხა მოხსენება, რომლის მთავარი მიზანი იყო დაემტკიცებია მისი ჯგუფის კვლავ მენშევიკებთან («საერთო ფრონტში») შეუღლების საჭიროება. აქეთგან სხვა ყოველივე გამორიცხული უნდა ყოფილიყო. მაგრამ სასიმოს წინაშე ქრთამი იყო საჭირო და ბნ-მა ასათიანმაც ძღვნად თეთრი გიორგის ლანძღვა შეარჩია მოყვრებისთვის. მაგრამ იგრძნო რა მალე უცნაური და უხერხული მდგომარეობა, მან ამ მდგომარეობითგან გამოსვლისათვის სასწრაფოდ დაბეჭდა მოხსენების დებულებები და დაუგზავნა საზოგადოებას (მოხსენების წაკითხვის შემდეგ) და ამ დაბეჭდილ დებულებებში ერთი სიტყვითაც არსად თ. გ. ნახსენები არ იყო. მოხსენების საგრძნობი ნაწილი კი თ. გ-ზე ლაპარაკს მოანდომა! 300 კაცისაგან შემდგარ აუდიტორიას მოუგნებოდა ერთს და სწერდა მეორეს!

თავის მოხსენებაში ბნ ასათიანს მოუნდომებია თ. გ.-ითგან ამონაწერები გაეყალბებია; მისთვის დაეპირისპირებია ვახუშტის ცნობები, რომლის მიხედვით ძველად ყველა კუთხის ქართველი თავს ქართველად უხმობდა და სხ. მაგრამ მისი არგუმენტი განა ჩვენს აზრს არ ადასტურებს? დიახაც, ყოველთვის როდესაც ცალკე თემს საკუთარი მართვა-გამგეობა ჰქონდა, თვითეულ მოქალაქეს ამ თემისა არ ავიწყდებოდა საერთო სახელი „ქართველი" და ის თავს ქართველს უწოდებდა. ეს მჭერმეტყველური საბუთია იმისა, რომ დეცენტრალიზაციის სისტემის მართვა-გამგეობა სრულიადაც არ უშლიდა ხელს მთლიან ქართველურ შემეცნებას და არც შემდეგ შეუშლის. ამ მხრით ბ. ასათიანს ჩვენ კიდევ მეტ საბუთებს მოვახსენებთ. ისტორიული მასალები წინა წერილებში ჩვენ ვრცლად გამოვიყენეთ, ხოლო აქ ერთ მეტად მნიშვნელოვან სფეროს შევეხებით ჩვენი ერის კულტურული ცხოვრებისა.

ის თავისებურებანი, რომელნიც მთელი ისტორიის მანძილზედ ჩვენ პ.:ლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებას წითელი ზოლივით ევლებიან, ქართული შემოქმედების ყველა დარგში სჩანან.

ამისი შვენიერი მაგალითებით სავსეა უპირველესად ყოვლისა ქართული მითოლოგია.

ჯერ კიდევ წარმართულ საქართველოში, ქრისტიანობის წინ, თვითეულ ქართველ ტომს, და სხვა და სხვა თემებს ტომთა საკუთარი ღმერთები ჰყავდათ,—ტომისა და თემისა.

მაგრამ გარდა ამისა, ყველა ქართველი ტომებისათვის არსებოდენ საერთო ღმერთებიც, რომლებიც ერთნაირად მოიხსენებოდენ ყველა ტომებში.

ყოველ შემთხვევაში ქართულ მითოლოგიას და ქართულ წარმართოგის დროინდელ პანთეონს რომ თვალს გადავავლებთ, ერთი რამ ნათელია: ის, რაც ერის მირითად რწმენათა სპეციფიურ თვისებებს შეადგენს, წითელი ზოლივით მიჰყვება ყველა ტომთა და თემთა სარწმუნოებას. ხოლო ადგილობრივ განსხვავებულ პირობათა მიხედვით როგორც ღვთაებათა ცალკე სახელები ისე მათი კულტი გვევლინება განსხვავებულად (მაგალითები იხ. ივ. ჯავახიშვილის ისტ. I ახ. გამ.).

ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა თავისი ვრცელი გამოკვლევებით გაიგო რა, რომ „..ოდესღაც ქართველ ტომებს სათავთავისო სათემო ღვთაებათა გარდა ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონიათ და საერთო წარმართოვაც ყოფილა" (იხ. ქართ. ერ. ისტ. I გვ. 107), იგი იმ მეტად საინტერესო დასკვნამდისაც მივიდა, რომ: „არამც თუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართოგა არსებოგდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია".

ყველა ზემოაღნიშნულთაგან შემდეგი დასკვნა შეიძლება გამოვიყვანოთ: იმ დროს როდესაც ქართველი ტომები კულტურულად შედარებით მდაგალ საფეხურზედ იდგენ, როდესაც იგინი უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკურად დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდენ, მაშინაც კი ყოფილა გარდა თემობრივ-ტომობრივ ცხოვრეგისა საერთო ქართული ეროვნულ-კულტურული ცხოვრებაც: ყველა თემებსა და ტომებს, გარდა საკუთარისა, საერთო ქართული მთლიანობის შემეცნებაც ჰქონიათ, რაიცა რეალური ატრიბუტებით ყოფილა გამოხატული: ენისა, სარწმუნოებისა და სხვათა სახით.

მთლიანი ეროვნული თავდაცვის იდეაც არსებობდა ძველად. ასურეთის მეფის ტიგლატ პილესერ I (1100 წ. ქ. წინ) წარწერითგან სჩანს, რომ მაგ. ქართველთა ერთი ტომის ხალხი მუსკები (ჯერ კიდევ პირველ სამშობლოში) რომოდენიმე სახელმწიფოდ იყო დაყოფილი, მაგრამ როცა კი საჭირო იყო, ყველანი ერთობლივ მოქმედებდენ. ასე მოიქცენ ისინი, მაგალითად, როცა ასურეთის მოყმე ქვეყნების ალცის და პურუკუცის დასაპყრობად გაემართენ.

მეორე ქართველთა ტომის, ტაბალების სამფლობელოშიც ასურთა მეფისავე სალმანასარ II (859-825 ქ. წინ) ...ვით ოცდა ოთხი სამეფო ითვლებოდა და ... საჭირო იყო ურთი-ერთს მხარს უჭერდენ (იქვე გვ. ...).

ჩვენ შორს წაგვიყვანდა ... სხვა დარგების განხილვაც. მაგრამ კიდევ ერთ გარემოებაზედ შევჩერდებით. მე-19-ე საუკუნეშიც კი, როდესაც რუსეთმა ძალით შეიერთა საქართველოს სხვა და სხვა ნაწილები, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზმები, მაშინაც არგამქრალა თავისებურებათა ქვეყანა (იხ. გაზ. თ. გ. N32 წერ. საქ. ფედერაცია). ამის ყველაზედ უფრო ცოცხალი დოკუმენტი მე-19-ე ს-ის ქართველ მწერალთა შემოქმედებაა.

რომ თვალი გადავავლოთ მე-19-ე საუკუნის ქართულ ლიტერატურას ვერსად ვერ ვნახავთ ვერც ერთ გმირს, რომელიც გაიყენებულ ქართულ ტიპს უა[?]ლოვდებოდეს. ყველა კუთხურ ელფერს ატარებს. სინამდვილეს ეს ვერ შეჰქმნა და, ცხადია, ლიტერატურა, რომელიც ყოველთვის სინამდვილით საზრდოობს (განსაკუთრებით იმ დროინდელი რეალისტური და ნატურალისტური ლიტერატურა) ხორცს ვერ შეასხამდა ასეთ ტიპებს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ სინამდვილეში არსებულიყო ამგვარი რამ და ილია ჭავჭავაძისა და აკაკის კალამს გამორჩენოდა. ასეთი რამ ან ისტორიულ ან მომავლის იდეალის გამომხატველ ნაწარმოებში თუ მოგვცეს, რაიცა მხოლოდ იდეალი იყო.

ილია ჭავჭავაძის ყველა გმირები კახელები არიან. განა ლუარსაბ თათქარიძეს, დარეჯანს, კაკოს, ზაქროს, ოთარაანთ ქვრივს და სხ., თუ სოციალურ მხარეს ჩამოვაცილებთ, რომელიც მათი წრის ყველა ქართველისათვის საერთოა, მათი პირადი ცხოვრების ყველა წვრილმანებში, ხასიათში კ ა ხ ე ლ ე ბ ს არ დავინახავთ?!

ყაზბეგის ხევის ბერი და მოძღვარი, მთის მორალითა და ტრადიციით დატვირთულნი, მხოლოდ და მხოლოდ მთიულნი არიან. მათ ვერ ნახავი ბარში. ელგუჯა, ღხიშე და გმირთა მთელი წყება, მათი მოქმედებით, ჩვეულებებით, ფიცის წესებით, სიტყვის ასრულებით, მათი ლაკონიური სიტყვა-პასუხით —ყველა მთის შვილებია.

თავისებურებათა ქვეყანა, რომელიც გარს აზვევია ყაზბეგის გმირებს, მხოლოდ მთაშია; ყველა ისინი პურსაჭირის ღელისა და გუდამაყ რის ხეოგათა ჰაერით სუნთქავენ.

მინდია, ალუდა ქეთელაური, აფშინა, ზეზვა, გოგოთური, —ესენიც თავიანთი მორალით, ჩვეულებებით, მოქმედებით ყველა მთის შვილებია. მინდიას ზეკაცური განცდები ყველაზედ ადრე მას და მის ავტორს ვაჟა-ფშაველას ემართებოდათ.

ეგალობლიშვილის ცეცოები, ქორ ზაქარები და სხ. და ლომაურის გმირები —ყველა წმინდა წყლის ქართლელებია. მხოლოდ გ. ერისთავის ბეგლარ-არჩილები და კარაპეტ მარტიროზები ხიდისთავსა და გორს არ სცილდებიან.

დ. კლდიაშვილის სამანიშვილი, ქამუშაძე, როსტომ მანველიძე თავისი პატიოსანი ქალიშვილებით, —ყველა ტიპიური იმერელი აზნაურებია.

ხოლო ნინოშვილის გმირები გურულებია და სხ.

მაგრამ, მიუხედავად ჩვენი მწერლობის ამგვარი ხასიათისა, არც ერთ ჭკუათა-მყოფელს თავში აზრად არ მოუვა ილიას კახელი მწერალი უწოდოს, აკაკის იმერელი, ნინოშვილის გურული და სხ., ან მათ პოეზიას —კახური, გურული და სხ. იგინი იწოდებიან ქ ა რ თ ვ ე ლ მწერლებად და მათი შემოქმედება ქ ა რ თ უ ლ მ წ ე რ ლ ო ბ ა დ.

მაშასადამე წინედაც და გაერთიანების ხანაშიც, მე-19-ე საუკუნეშიც და დღესაც კუთხურ თავისებურობასთან ერთად არსებობდა და არსებობს საერთო ეროვნულიც და არამც თუ პირველი მეორეს უარყოფს, არამედ უკანასკნელი პირველთა სინთეზს წარმოადგენს.

დეცენტრალიზაცია დანაწილებას არ ნიშნავს, არც ხელს შეუწყობს მას. პირიქით, ის ერთად-ერთი გზაა მთლიანობისა. ვისაც ეს არ ესმის, ეს ჩვენი ბრალი არ არის. ვისაც ესმის და ბოროტი განზრახვა ალაპარაკებს, სირცხვილი მას. ხოლო ვინც შეგნებულად უარყოფს და ერისათვის „საწამლავად" სთვლის, იქონიოს პოლიტიკური გამბედაობა და ვაჟკაცობა და გამოსთქვას თავისი აზრი პრესაში. ამით ჩვენც დავკმაყოფილდებით და ჩვენი მოწინააღმდეგენიც, თუ ჩვენი მსჯელობა გულწრფელი და ლოიალური იქნება.

ალ. მანველიშვილი.

---

## ემლო.

1

წერილს ელოდა
ემლო ელოდან.
ელოდა, ელოდა
წერილს ემლო და
თანაც მღეროდა:
—რა ვქნა, რა გახდა ლიონიიი,
რატო არ მოდის ფოჭტალიონიიი...

2

ერთ დილით
დაღლილი,
გასვრილი მტვერში
სამუშაოდან დაბრუნდა ოტელში.
—Monsieur, votre lettre!
კი ვერ გაიგო,
გარდა მუსიო-ს, სიტყვა ვერც ერთი.
წერილი აიღო.
გაწითლდა... მიხვდა:—წიგნია ელოს!
უთხრა:—მადამ ჯან, ღმერთმა გიშველოს!
დაუკრა თავი და
ოთახში ავიდა.
ხელ-პირი დაიბანა.
მოიშორა ზანგი.
ჩაიცვა ახალი პერანგი.
სარკეში ჩაიხედა:
ულვაშები დაიგრიხა,
ქოჩორი გადივარცხნა.
უცემს მაგრად გული!
წერილი გახსნა:
... წერილი ფრანგული!?

3

—მადამ ჯან, მადამ ბიენ!
—Oh, monsieur, il n' y a rien.
Ne faites pas attention,
C' est une petite contribution.
. . . . . . . . . . . . . ?

4

ერთ საღამოთი,
(იქნებოდა საათის ათი),
გასვრილი მტვერში,
ერთავად თეთრი
დაბრუნდა ოტელში.
—Monsieur, votre lettre!
წერილი აიღო.
—წყალმაც წაიღო
თქვენი ფრანცია!
მადამ ჯან, ტუჟურ კონტრიბუცია?!
შევიდა ოთახში.
ლოგინზე გაითხლარშა.
ელექტრონი აანთო და
წერილი გახსნა ზანტად:

5

„ქმარო ჯან, მამავ საყვარელო, ემლო ძვირფასო!
ცრემლით დასწერა შენმა ელომ ყოველი ასო.
ეხ, სამართალი არ არსებობს ჩემთვის ზეცაში!
რად დაგვაობლე, რითვინ წახველ ზაგრანიცაში?
იშტა, მერჩივნა დაგემარხე ცოცხლად მიწაში.
გითვლის სალამსა შენი შვილიც, პატარა ილო.
სულ მეკითხება: სად წავიდა ჩემი მამილო?
გულს ნუ გაიტეხ, ჩემო ქმარო, არ გვწყალობს ბედი,
მაგრამ ამ ბიჭსა გამოგიზრდი, გქონდეს იმედი.
სხვა რა მოგწერო მუდამ წამს და ჟამს სანატრელო.
გწერს შენი ელო".

„ემლო ჯან, ემლო! რო წამოხვალ, შენ გენაცვალე,
ორ-ორი ხელი წამოგვიღე ნარმის საცვალი.
ტანთ არა გვაქვს, ტიტვლიკანებს გვწყურია, გვშია.
მეწველი ძროხაც კი წაასხეს კოლექტივშია.
აწ კი მშვიდობით თვალის ჩინო, ძმავ საყვარელო.
შენი და პელო».

6

ელოდა, ელოდა
წერილს ემლო და
ნეტა არ მიეღო!..

ს. ბერეჟიანი.

---

## ქართველები სპარსეთში.

საქართველოს წარსულის რამდენიმე საინტერესო პიროვნება.

მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი XI. ქ ა ი ხ ო ს რ ო ა ნ უ ხ ო ს რ ო მ ე ფ ე.

(გაგრძელება*)

ლევან ბატონაშვილის შესახებ უკვე საკმარისი ითქვა, და ვინაიდგან ეს ეტიუდი მას პირდაპირ არ ეხება, ახლა ისევ გიორგი და ხოსრო მეფეებს ვუბრუნდებით.

მათი მოღვაწეობა ვიწროდ დაკავშირებულია მათ პიროვნებასთან, მათ ინდივიდუალურ ხასიათთან. ამიტომ ეს თხუზულება სრული არ იქმნება, თუ მკითხველს ორთავეს პიროვნება არ გავაცანი. რასაც მე თან-და-თანობით მივაწვდ, თვით პროცესში მათი მოქმედების განხილვისა. ამ მხრით ისტორიული საბუთები უხვად მოგვეპოვება. ხოლო სანამ ამ ორ სახელოვან მეფეთა მოღვაწეობის აღწერას შევუდგებოდე, აუცილებლად მიმაჩნია აქვე განვმარტო და დავახასიათო ერთი მხრით ის კულტურულ-გონებრივი წიაღი, რომელშიაც აღიზარდენ, სცხოვრობდენ და მოქმედებდენ სახელოვანი ბიძა-ძმის წული, და მეორე მხრით მათი სულიერ-ზნეობრივი ვითარების უმთავრესი მხარე: მ ა თ ი ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ რ ი ვ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა.

მკითხველს უკვე მოვახსენე, რომ სპარსეთი მეჩვიდმეტე საუკუნითგან იძულებულ ჰყოფდა ქართველ მეფეთ ისლამი აღიარებინათ. ჩვენი მეფეებიც, უმეტეს შემთხვევაში, გამუსულმანდებოდენ ხოლმე, მაგრამ მხოლოდ ფორმალურად; რწმენით კი ურყევ ქრისტიანებად რჩებოდენ (1). იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ასე იყო, მრავალი ისტორიული

1) ქეთევან წამებულის შვილმა თეიმურაზ I-მა არ ინდომა გამუსულმანება და ამიტომ ორმოც წელიწადზედ მეტი მოუხდა სპარსეთთან ბრძოლა და კინაღამ მთელი კახეთი შეაკლა მან ამ ბრძოლას. ეს შეუპოვარი ბრძოლა გმირული რომ იყო ნათელია, მაგრამ იყო თუ არა იგი ეროვნულად მიზან-შეწონილი, ეს დიდი საკითხია.

*) იხ. „თ. გ." N 41

საბუთი არსებობს. მაგრამ ამ საკითხის ნაიულ-საყოფად რამდენიმე მათგანის მოყვანაც საკმარისია.

გამუსულმანებული მეფეების ხანა როსტომ მეფით დაიწყო. როსტომი იყო ლუარსაბ მეორის პაპის ძმის, დავითის შვილი. იგი ბედმა სიყრმითგანვე სპარსეთში გადასტყორცნა შაჰის კარზედ გაიზარდა და იქვე გაამუსულმანეს კიდეც. სპარსეთში, მაღალ ნიჭიერსა და მედგარ როსტომს ახალგაზრდობითგანვე დიდი სახელმწიფო თანამდებობანი ეჭირა (1). იგი ითვლებოდა შაჰ-აბას დიდის მარჯვენა ხელად და Pietro della Valle-ს სპარსეთში ყოფნის დროს, როსტომი ისპაჰანის გუბერნატორად იყო (2). Della Valle მას პირადად იცნობდა.

როსტომმა ისეთი გავლენა მოიპოვა მთელი სპარსეთის იმპერიაში, რომ შაჰ აბასის სიკვდილის შემდეგ შაჰ-სეფი მან აიყვანა სპარსეთის ტახტზედ და თავისი ჭკუით და ავტორიტეტის ძალით მის წინაშე ქედი მოახრევინა სპარსეთის დიდებულებს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, როსტომი დარჩა ერთგულ ქრისტეანედ და არა მხოლოდ შინაგანი რწმენით, არამედ საქმითაც და გარეგანი გამომჟღავნებითაც: თავის მეფობის დროს ლოცულობდა ეკლესიებში; სწყალობდა მღვდელ-მონაზონთა; აშენებდა ახალს და აღადგენდა დანგრეულ ეკლესია-მონასტრებსა; იყო ლმობიერი და სამართლიანი მმართველი თავის ქვეშევრდომთა.

როსტომ მეფის დროს მოჭრილ ქართულ ფულს ერთ გვერდზედ ეწერა „ალლაჰ" და მეორეზედ ქრისტეს სახელი. ეს ფული მჭევრმეტყველად გამომხატველია იმ ტრაგიკული მდგომარეობისა, რომელშიც მოაქცია საქართველო მაშინდელმა დუალიზმმა: ქვეყანა ქრისტიანული კულტურის შინაარსით და გარეგნულად კი მუსულმანური დიდი გავლენით. ასეთი იყო მალადობა ძლიერი მტრისა ჩვენს ცხოვრებაზედ, რომლის განვითარებას, ნორმალურ პირობებში, ეროვნული სულის და ბუნების გზით უნდა ევლო. ხოლო განსახიერება, ნამდვილი ცოცხალი სურათი ამ საშინელი დუალიზმისა იყო საქართველოს მთავარი და უმაღლესი წარმომადგენელი — თვით მეფე: ქრისტიანი რწმენით, ეროვნული კულტურით აღჭურვილი და თან კი ინით შეღებილი წვერ-ფრჩხილებით და ჩალმით თავზედ. აი ეთია მწარე სინამდვილე ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ცხოვრებისა. მაგრამ გაიარა ერთმა საუკუნემ და საქართველო გარბაროს რუსეთის უღელში გაება და ამ ახალმა ბატონმა არა მხოლოდ გარეგნულად შეღება საქართველო რუსულ შავ-ბნელ ფერებად, არამედ ძირიანად შეარყია და შერყვნა მისი ეროვნული არსებობის ყოველი ფუძე; ჩასწვდა მისი ეროვნული სულის სიღრმეს და მის თავისი მურდალი ხელით ჩააწვეთა მოსკოვის შხამი; თვით ეროვნული არსებობის წიაღში დასთესა გადაგვარების და გათახსირების თესლი, რომელმაც მრავალი მოწამლული ნაყოფი გამოიღო; რუსეთი არ დაკმაყოფილდა საქართველოს სახელმწიფოზედ ბატონობით, რითაც სპარსეთი კმაყოფილდებოდა; არამედ 1783 წლის ხელშეკრულება ქართველ ერს თავზედ გადაახია და შემოდგა თუ არა ჩვენს მიწა წყალზედ თავისი ტლანქი ფეხი, მყისვე პოლიტიკურად მოსპო იგი და რუსეთის გუბერნიად აქცია. და ამ ახალმა ბატონმა ქართველ ხალხს მოანატრა ის სპარსეთი, რომლის წინააღმდეგ მან მთელი საუკუნეები ხმალ ამოღებული იბრძოლა.

ჩალმოსანი და ინით წვერ-შეღებილი მეფე, თუმცა, მართალია, „ოქროს ხანის" მეფეთა-მეფის აჩრდილს-ღა წარმოადგენდა, მაგრამ მაინც ქართველი მეფე იყო: დარაჯი ქართული კულტურისა; თავისუფლებისა და ქრისტიანობის დამცველი სარდალი; ეროვნული არსებობის ბურჯი.

მართალია, არჩილ მეფის მუსულმანური სახელი შაჰ-ნაზარი იყო და იგიც თავს ჩალმით იმოსავდა ხოლმე, მაგრამ იგი იყო მაღალ-ნიჭიერი ქართველი მგოსანი; ქართულის დიდი სტილისტი; განმამტკიცებელი პატრიოტული გრძნობისა და შეგნებისა. მან განაახლა ჩვენი ლიტერატურა, შეიტანა რა შიგ ისტორიულ-ნაციონალური მიმართულება.

ვახტანგ მე-VI-ეს ჰუსეინ-ყული-ხანი ეწოდებოდა, მაგრამ მან დასწერა საქართველოს კანონმდებლობა; მან დაარსა ქართული სტამბა; მანვე შეაგროვა და შეასწორა „ქართლის ცხოვრება", და სხვ.

აი სურათი იმ დროინდელი მდგომარეობისა, რომელიც, რასაკვირველია, უფრო დამაღონებელია, ვიდრე ნატრელი, და რომლითგან საქართველო მუდამ თავის დახწევასა ლამობდა, მაგრამ რომელიც რუსეთის ბატონობას მაინც ათას წილად სჯობდა.

შაჰ-ნავაზ I-ის (ვახტანგ V), შაჰ-ნავაზ II-ის (გიორგი XI) შაჰ-ნაზარ-ხანის (არჩილ მეფის), შაჰ-ყული-ხანის (ლევან მეფის), ჰუსეინ-ყული ხანის (ვახტანგ VI), იმამ-ყული-ხანის (დავით, კახეთის მეფის (3) — ამ გარეგნულად გამუსულმანებულ მეფეთა საქართველო ათას წილად უფრო ქრისტსანული იყო, ვიდრე საქართველო რუსული სინოდისა, რომელმაც ძირიანად ამოაგდო ქართული ეროვნული ეკლესიის წყობილება, ამოხადა მას ეროვნულ-ხალხური სული და გაბატონა მასზედ რუსული ბიუროკრატიული სინოდი, რუსული გარყვნილი და კრიმინალური სულით. დომენტი და იოსებ თბილელების, ანტონ I და ანტონ II კათალიკოზების, ზოსიმე და ექვთიმე ქუთათელის მაგიერ ქართველთა მოძღვრებად მოგვივლინა თეოფილაქტები, ჩუდნოვსკები, ნიკონები, ვოსტორგოვები. რა ქრისტიანული სული უნდა შთაებერათ და რა ზნეობრივი პრინციპები უნდა მიენიჭებინათ ჩვენი ქვეყნისათვის ამ „ჩინ მენდლიან" ავაზაკებს, ოქროს შესამოსლიან და ჯვარის ხელში მპყრობ კერპთ-თაყვანისმცემლებს? აკი კიდეც შერყვნეს და დასცეს ჩვენ ხალხში სარწმუნოებრივი გრძნობა.

ჩალმოსან და ინით წვერ-შეღებილ ქართველ მეფეთა და „წმინდა" რუსეთის „ყოვლად მორწმუნე" იმპერატორების ქრისტიანულ ღირსებათა შორის ისეთივე დიდი განსხვავება არსებობდა, როგორც თვით ქრისტესა და მის გვერდზედ ჯვარცმულ ავაზაკის შორის. ასეთივე დიდი მანძილი იდო რუსეთსა და საქართველოს ქრისტიანულ ღირსებების შორის: ერთის მხრით რუსეთი, გარეგნულად მთლად ჯვარ-ხატებში ჩამჯდარი, ოქროს გუმბათიანი ეკლესიებით, შინაგანად კი საზიზღარი კერპთ-თაყვანისმცემელი, კაცისმჭამელი, გარყვნილი გარგაროსი... და მეორე მხრით მაშინდელი საქართველო გარეგნულად მუსულმანური ელფერისა მაგრამ დიდი ქრისტიანული შინაარსით, შიგ ცხოვრების სიღრმეში გამჯდარი ქრისტიანულ ჰუმანიტარული კულტურით.

ზემოდ მოყვანილ შედარებებს განზრახ მივმართე. ეს საშუალებას მაძლევს უფრო ადვილად გავუმჟღავნო მკითხველს საკითხი და გავუადვილო გამუსულმანებულ მეფეთა როლისა და მათი ხანის შეფასება.

აი რა გვარს ტიპს ჩვენი მეფეებისას და რა ხანას ეკუთვნოდენ გიორგი და ხოსრო მეფეები.

უფრო საფუძვლიანად რომ დავასაბუთო ჩემი დებულება, თავს ვანებებ ზოგად მსჯელობას და გადავდივარ კონკრეტულ, ნივთიერ საბუთებზედ. ამ მხრით უპირველესად საჭიროა მოვიყვანო რამდენიმე სიტყვა როსტომ მეფის მოგონებებითგან. აი, სხვათა შორის, რასა სწერს როსტომი თავის შესანიშნავ მოგონებებში მაცხოვრის შესახებ: ... „იგი, რომელიც ჩვენი ხსნისათვის ჩაისახა უთესლოდ, რომელიც მწამს ვითარცა კაცი ძალიერი, ისიმშია და იწყურვა ჩვენთა ცოდვათა გამოსასყიდველად, აიტანა სილა და ლურსმანი და ჭრილობა გვერდსა შინა! მან განგვწმინდა ყოველგვარ ბიწიერებისაგან და უსამართლობისაგან"...და სხვ. — ნათელზედ-ნათელია: ამის დამწერ ადამიანს მუსულმანისა არა ეცხო რა, გარდა ჩალმისა და შეღებილი ბრჩხილებისა.

ამისთანავე მუსულმანები იყვნენ გიორგი და ხოსრო მეფეებიც.—

აი რა მოხსენებასა სწერს ხოსრო მეფის შესახებ თავის მთავრობას იმ დროს სპარსეთში მყოფი საფრანგეთის კონსული: „გენერალი ხოსრო (1), ძმის წული გიორგი ხანისა — საქართველოს მეფისა — იყო ქრისტეანე და კათოლიკე. ხოსრო ისეთი დიდი მორწმუნე ქრისტეანე იყო, რომ თვით ყანდაარის ალყის დროსაც კი თავის კარავში აწირვინებდა ხოლმე იმ სამ ფრანგ მღვდელსა, რომელნიც მუდამ თან დაჰყავდა (2)". ასე იქცეოდა ხოსრო მეფე თვით სპარსეთშივე, თუმცა ოფიციალურად კი მუსულმანი იყო.

არსებობს ერთი იტალიელი მღვდლის მოხსენება პაპისადმი გიორგი მეფის შესახებ. ეს მღვდელი გიორგის მუდამ თან ახლდა ხოლმე. თავის მოხსენებაში მისიონერი მღვდელი ამბობს, რომ გიორგი XI სიკვდილის წინა დღეს ეზიარაო: რასაკვირველია სახელოვანი მეფე სიკვდილის მოლოდინში კი არ ეზიარა (ქვემოდ ვნახავთ, რომ იგი ღალატით მოჰკლეს არამედ ქრისტიანული ჩვეულებრივი წესის აღსასრულებლად (3).

არსებობს რამდენიმე წერილი ხოსრო მეფისა, მიწერილი პაპისადმი და პასუხიც თვით პაპისა მაშინ, როდესაც ხოსრო სპარსეთის უმაღლეს მოსამართლედ იმყოფებოდა. ამ წერილებში ხოსრო აშკარად ამბობს, რომ იგი ქრისტიანეა (4).

უფრო ვრცელია მეფე გიორგი XI-ის მიწერ-მოწერა პაპთან. ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც 29 აპრილს 1687 წ. არის დაწერილი, გიორგი XI სხვათა შორის ამბობს: „ჩვენ გიორგი მეფეთ მეფე, შთამომავალი ბაგრატიონთა, აღვიარებთ მართლმადიდებელ სარწმუნოებას (5)". ამავე წერილში გიორგი სწერს: „ყოვლად მოწყალე ღმერთი მფარველი ნამდვილ ქრისტიანეთა და ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი კურთხეულ იყვნენ. მათი და თქვენი შემწეობით უფალი იხსნის ქრისტიანეთ ურწმუნოთა ბატონობისაგან". ამ დროს გიორგი უკვე დიდი ხნის გამუსულმანებული იყო და თავის მამის სახელს შაჰ-ნავაზს ატარებდა და მხრეზედ სპარსული ხალათი ესხა. მაგრამ, როგორც უკვე მოვახსენე მკითხველს, ყოველივე ეს იყო აუცილებელი დათმობა ძლიერი მტრისადმი ეროვნული ინტერესების დასაცავად. ხოლო ნამდვილად გიორგიც და სხვა გამუსულმანებული მეფეებიც ნამდვილ ქრისტიანებადა რჩებოდენ. როსტომის შესახებ კი დავამტკიცებთ რომ, ხოსროვანთა დინასტიისა და „ოქროს ხანის" მეფეთა გარდა, და გარდა ალექსანდრე მეფისა მე-15 საუკუნეში, არც ერთმა ჩვენმა ქრისტიანმა მეფემ იმდენი ღვაწლი არ დასდვა ქრისტიანულ ეკლესიას, რამდენიც გამუსულმანებულმა როსტომ მეფემ.

მისიონერი Giuseppe საქართველოთგან პაპისადმი მიწერილ მოხსენებაში 7 გიორგობისთვეს 1684 წ. მეფე გიორგის თავის საყვარელ შვილად იხსენიებს.

მკითხველი ნახავს ქვემოდ თავებში, რომ თვით მუსულმანებიც გიორგი მეფეს ქრისტიანად სთვლიდენ, ვინაითგან მექის უმაღლესმა სამღვდელოებამ თავისი ცნობილი განაჩენი გიორგის წინააღმდეგ როგორც ქრისტიანის წინააღმდეგ გამოიტანა, — ქრისტიანისა, რომელიც მუსულმან ერს, ავღანელთ, „სტანჯავდა და ავიწროებდა".

გარდა კათოლიკეთა მისიონერებისა სამი უცხოელი ცნობილი ისტორიკოსი სწერს გიორგისა და ხოსროს შესახებ: Hanway, ინგლისელი, რომელიც თითქმის გიორგის დროსა სცხოვრობდა სპარსეთში; Malcolm-ი, ისიც ინგლისელი და ინგლისის ელჩი სპარსეთში, და ფრანგი ისტორიკოსი Picault (6). სამივე ისტორიკოსი ერთხმად ამტკიცებს, რომ გიორგიც და ხოსროც მხოლოდ გარეგნულად იყვნენ გამუსულმანებული და ნამდვილად კი ჭეშმარიტ ქრისტიანებად დარჩნენ. მომყავს Picault-ს სიტყვები: „მიუხედავად იმისა, რომ ხოსრო გამუსულმანებული იყო, იგი დარჩა ნამდვილი და ღირსეული ქრისტიანე. მისიონერები დიდის მადლობით იხსენიებენ მას. რა შორ მანძილზედაც არ უნდა წასულიყოს ხოსრო, მას ორი მისიონერი მღვდელი მუდამ თან დაჰყავდა"(7).

გიორგი და ხოსრო აღიზარდენ უაღრესად მორწმუნე და ტრადიციონულ ოჯახებში, სადაც ბავშობითგანვე ისეთი ძალით შთაენერგათ ქრისტიანული რწმენა და ფსიქოლოგია, რომ ფორმალურად რჯულის გამოცვლა მათ ვერ გაამუსულმანებდა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ კონსტანტინე ბატონიშვილი ნამდვილად გამუსულმანდა, რამაც იგი მუხანათობამდე მიიყვანა, ეს იმით აიხსნება, რომ იგი ჯერ შვიდი წლისა არ იყო, როდესაც მისმა მამამ, კახეთის მეფემ ალექსანდრემ სპარსეთს გაუგზავნა ყაენს მძევლად (8). ისპაჰანში აღიზარდა კონსტანტინე, გაამუსულმანეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ ქრისტიანობის არა ესმოდა რა, თვისი ახალი აღმზრდელნი, სრულიად ბუნებრივად, საკუთარ მშობლებად მიიჩნია და შეიყვარა. გრძნობა და ხსოვნაც კი საქართველოსი და ღვიძლი დედ-მამისა მისი ნორჩი გულითგან აღმოიფხვრა. ამნაირად, როდესაც შაჰ-აბასმა კახეთს გაგზავნა თავისი ვერაგული დავალებით, იგი ზნეობით, რჯულით, აღზრდით და კულტურით სავსებით ისპაჰანელი სპარსელი იყო და ქართველისა, მეტადრე საქართველოს ბატონიშვილისა, სრულიად არაფერი ეცხო. თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, მართალია მას მაინც დავგმობთ, მაგრამ ნაკლები სისასტიკით, რადგანაც [illegible] ლის შემასუბუქებელ მიზეზს მოვუნახავთ. კონსტანტინე რამდენადმე უფრო მსხვერპლად [illegible] მკაცრი და დაუნდობელი პირობებისა, [illegible] დამნაშავედ.

დაახლოვებით იგივე პირობები ხსნის კონსტანტინეს (მაჰმად-ყული-ხანის) კახთა მეფის (1) ნამდვილ გამუსულმანებას. მხოლოდ ეს ორი გამონაკლისი არსებობს ბაგრატიონთა გამუსულმანებულ მეფე-ბატონიშვილებითგან. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გამუსულმანებულ მეფეთა დრო დიდ ხანს არ გაგრძელებულა. მას ბოლო მოუღო თეიმურაზ II-ემ.

რაც შეეხება გიორგი XI და ხოსრო მეფეს, მათ, როგორც უკვე ვთქვი, ბავშობითგანვე ქრისტიანული აღზრდა ჰქონდათ და იგინი ეკუთვნოდენ ისეთ ოჯახებს, რომელნიც არა მხოლოდ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ქრისტიანულ ეკლესიასთან, არამედ კიდევაც პირდაპირ მართავდენ მას, ვინაითგან გიორგის ძმის წული, შვილი ლევანისა, ე. ი. ღვიძლი ძმა ხოსრო მეფისა, დომენტი III იყო ცნობილი კათალიკოზი საქართველოისა. შემდეგ, ძმის წული ხოსროსი, იესე მეფის შვილი ანტონ I ხომ ერთ უდიდეს კათალიკოსთაგანადაა ცნობილი.

მე მგონია ზემოდ მოყვანილ მოსაზრებათა და საბუთთა შემდეგ გიორგი (2) და ხოსრო მეფეების პიროვნება ქრისტიანული სარწმუნოების თვალსაზრისით სავსებით ამოწურულად უნდა ჩაითვალოს.

ლეო კერესელიძე.

(გაგრძელება იქნება)

1) თავის დროზედ დავბეჭდავთ ახალ თხზულებას: „როსტომ მეფე და მისი დრო".

2) შაჰ-აბას დიდს ცოლად ჰყავდა როსტომის ნათესავი — ლუარსაბ მეორის და ლელა.

3) ძმა დავით მეფისა მაჰმად-ყული-ხანი კი ნამდვილი მუსულმანი და რენეგატი იყო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მას დედა სპარსელი ჰყავდა. მისი ქრისტიანული სახელიც კონსტანტინე იყო, როგორც სახელი მისი წინაპრის კონსტანტინე ბატონიშვილის, მოღალატისა.

1) იხსენიებს ღენერლად, რადგან ხოსრო იყო მთავარ-სარდალი სპარსეთის არმიისა და გუბერნატორი ისპაჰანისა.

2) Mémoires sur la Perse, საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივი:—t. VI p.p. 346-7.

3) v. Le Missionnaire Polonais Krusinski: „Belli Persici historia" p. 273.

4) v. Tamarati: Èglise Géorgienne p. 587.

5) v. Tamarati: Èglise Géorgienne p. 574-5

6) v. Hanway: Hist. de la Perse, t II; Malcolm: Hist. de la Perse, t. II; Picault: Hist. des Rév. en Perse, t. I.

7) Picault: Aist. des Rév. en Perse, t. I. ფრანგის კონსული სწერს, სამი მისიონერი დაჰყავდა თან ხოსროსაო, პიკო კი ორს იხსენიებს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

8) კონსტანტინე იყო შვილი ალექსანდრე კახთა მეფისა და ძმა დავითისა, თეიმურაზ I-ის მამისა, ქეთევან წამებულის ქმრისა.

## ფრანგების აზრი საფრანგეთის ცენტრალიზმის შესახებ.

ფრანგის მწერალი ლუდოვიკ ნოდო თავის წერილში Les nécessités de la décentralisation en France, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალ „Ilustration"-ის 1931 წლ. 11 და 18 აპრილის ნომრებში, გამოსთქვამს თავის აზრს თავისი ქვეყნის ცენტრალიზმის შესახებ, მოირა რა საფრანგეთის დეპარტამენტები, და საჭიროდ მიგვაჩნია მისი და მის მიერ მოყვანილი სხვა ფრანგთა აზრები ჩვენმა მკითხველებმაც გაიცნონ. განსაკუთრებით საყურადღებო იქმნება იგი მათთვის, რომელთაც ცენტრალიზმი ქვეყნის აღშენებად და დეცენტრალიზაცია ქვეყნის დაშლად და დაღუპვად მიაჩნიათ.

საფრანგეთის ერიო, ამბობს ნოდო, შესდგება სხვა და სხვა ურთი-ერთისაგან ძლიერ განსხვავებულ რასისაგან და ძნელია გამორკვევა მიზეზთა, რომელთაც გამოიწვიეს საფრანგეთის მოსახლეობის რიცხვის დაკლება.— მაგრამ ერთი ცხადია,— იგი არის ყველაზედ უფრო ძველი ცენტრალისტური სახელმწიფო ევროპაში. ცენტრალიზმმა შესცვალა განსაკუთრებული ცხოვრების წესი, რომელიც სხვა და სხვა ჯიშის ფრანგებს ჰქონდათ, და ამით მთელი ერი ჰყო ბოლოს და ბოლოს მცირე რიცხოვანიო. ამას ისიც ამტკიცებს, რომ დღეს იმ პროვინციებში, სადაც ცენტრალიზმს კიდევ ვერ მოუკლავს ადგილობრივი ცხოვრება და დარჩენილა ძველი ზნე-ჩვეულება, ხალხი უფრო მრავლდება, მაგალითად ბრეტანში, სადაც დარჩა ძველი რასა კელტური თავისი განსაკუთრებული სახითა და ცხოვრების წესებით; აგრეთვე ჩრდილოეთი ნაწილი საფრანგეთისა და პადე-კალე ხალხით მდიდარი პროვინციებია, რადგანაც მათი რასა და ზნე-ჩვეულება, მონათესავე ფლამანთა, კიდევ ვერ აღმოუფხვრია ცენტრალიზმს. 1931 წელს ყველაზედ უფრო ხალხით ნაყოფიერი თემები ნოდოს დაკვირვებით ყოფილა სწორედ პატარა პორტები, დუნკირქსა და ეტაპლს შუა მდებარე. აგრეთვე ბასკები მრავლდებიან ძლიერ, რადგანაც მათაც შერჩათ ეროვნება, ზნე-ჩვეულება და სხვა, რაიცა ჯერ ვერ გაუნადგურებია ცენტრალიზმს. ამ ორმოცი წლის წინად იგივე შენიშნა ცნობილმა დემოკრატმა არსენ დიუმონმა, რომელიც ამბობდა, ადგილობრივი ენა, ტანთ-საცმელი, ზნე-ჩვეულება და სხვა ხელს უშლიდენ ინდივიდუალურ მისწრაფებას წინ-წაწევისას და ამით ინახავდენ ძველ ოჯახს და მის ნაყოფიერებასაო.

მონტობანის ავტონომიური რესპუბლიკა როდესაც დააქცია ლუდოვიკ მე-XIII-ის ზარბაზნებმა, ამით მთელი აყვავებული ცხოვრება ამ პროვინციისა დაეცა და დაკნინდა. ამასთანავე ეროვნულმა და სარწმუნოებრივმა გაერთიანებამ ცენტრალისტური წესით მრავალი პროტესტანტი, დიდი უნარისა და შემოქმედებითი ნიჭის ხალხი მოაშორა საფრანგეთს, განსაკუთრებით ნანტის ედიქტის გაუქმების შემდეგ. ეკონომისტი შარლ ჟიდიც ამტკიცებს, რომ ცენტრისაგან მოკლული ქალაქი ნიმი ველარ დადგა ფეხზედ, იგი კი უნდა გამხდარიყო უდიდეს ინდუსტრიალურ ცენტრად საფრანგეთშიო. — როდესაც სამხრეთ საფრანგეთის პროვინციებს ვათვალიერებთ, ვხედავთ, რომ ეს ქვეყანა საშინლად არის დაცლილი მოსახლეობისაგან. ხოლო დიდი რევოლუციის წინად იქ მრეწველობა ყვაოდა და მოსახლეობა დიდი იყო. გასკონი სიცოცხლით იყო სავსე: დღეს რომ ნანგრევებს ხედავს კაცი, იქ ამ ხუთი-ექვსი შთამამავლობის წინად სიცოცხლე, ენერგია იყო — შემოქმედების მაჯა სცემდა. პროვანსში კი განმრავლება ხალხისა ძველად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე დღეს საფრანგეთის უნაყოფიერეს პროვინციებში. და როდესაც ამ უბედურების მიზეზს, ვიკვლევთ, ვხედავთ რომ იმ დროითგან მოდის ეს უბედურება, როდესაც იქ ცენტრალიზაციის შედეგები და საერთო სამოქალაქო კოდექსის შეიჭრენ. რკინის გზების გაყვანის შემდეგ ეს უბედურება თვალ-საჩინო გახდა, ხოლო 1870 წლის შემდეგ პირდაპირ კატასტროფად იქცა. მთელი საუკუნის განმავლობაში ლაპარაკობენ და სწერენ ცენტრალიზმის წინააღმდეგ დეცენტრალიზაციისათვის,—მაგრამ ამაოდ. და როდესაც საფრანგეთის პროვინციებში ხედავ აუარებელ ნანგრევებს, უდიდეს ნაშთებს

1) შვილი ირაკლი I-ისა, ძმა თეიმურაზ II-ისა, ცოტა ხანს იმეფა.

2) გიორგი მე-XI-მ 2000 თუმანი გაგზავნა ავღანისტანითგან იერუსალიმში არაბთაგან მოტაცებული ჯვრის გამოსასყიდლად.

ხელოვნებისას, დაკნინებულ ქალაქებს, სადაც სიცოცხლე განმქრალა, დატოვებულ წყლის გზებსა და მრავალ სხვას, ცხადი ხდება, რომ ერთ დროს აქ დიდი და ცხოველი კულტურული ცხოვრება ყოფილა და დღეს მისი საცოდავი ნაშთი-ღაა დარჩენილი. — სამხრეთის კუთხეებს ბევრი ტანჯვა გამოუვლიათ ჩრდილოეთ საფრანგეთის მეფეთა წინააღმდეგ ბრძოლაში, საჴნამ სამხრეთელები შემდეგ, ცენტრალიზმის დროს, როგორც მინისტრები, პოლიტიკოსები და ორატორები წამოვიდოდენ პარიზის, ცენტრის დასაპყრობადო. -ცენტრალიზმისაღრ ანგეთში ძველმა რეჟიმმა შეჰქმნა. ლუდოვიკ მე-XI შემდეგ არაფერი აღარა კეთდებოდა რა საფრანგეთში გარეშე მეფისა და მისი აგენტებისა. ტოკვილლი ამბობს, რომ ძველი რეჟიმის ადმინისტრაციამ ფრანგებს მოუკლა შესაძლებლობა საურთი-ერთო დახმარებისა. როდესაც მოხდა რევოლუცია, საფრანგეთის უდიდეს ნაწილში არ მოიპოვებოდა ათი კაცი, რომელსაც ჰქონოდა გამოცდილება საერთო მოქმედებისა და თავის-დაცვაზედ ზრუნვისა. ეს მხოლოდ ცენტრალური ხელის-უფლების საქმე იყო. ქალაქებს არა ჰქონდათ არავითარი უფლება არც ეკონომიურ და არც ერთობ საზოგადოებრივ ცხოვრების სფეროში და სხვ. ამიტომ იყო, რომ თავისი მოგზაურობის დროს 1787-1789 წ. ინგლისელ არტურ იუნგს უკვირდა, საფრანგეთში ასეთი ცოცხალი ცენტრია, პერიფერიები კი მთლად ერთიანად მკვდარიაო. —რევოლუცია ჯერ შეეცადა ცენტრალიზაციის მოსპობას, მაგრამ როდესაც მას ზოგიერთმა პროვინციამ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, არ მიიღო რა საზოგადოდ ზოგიერთი მისი იდეა, „ეროვნული ერთობისათვის“ მან ცენტრალიზმი კიდევ უფრო გაამაგრა. კიდევ უფრო დიდი აბსოლუტიზმი დამყარდა საფრანგეთში რევოლუციის შემდეგ, ვიდრე წინად იყო, მეფეების დროს, და ეს რეჟიმი გრძელდება დღემდე.

მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის მიერ მეცხრამეტესადმი გადმოცემული დაწესებულებანი ცენტრალიზმისა განა შეეფერებოდა საფრანგეთის შემდეგ განვითარებას?—ამის შესახებ ბევრს უწერია, როგორც მაგ. მადამ დე სტაელს, ბენჟამენ კონსტანს და სხვათა. ამ უკანასკნელის აზრით, ცენტრალიზმი ჰკლავს ცხოვრებას მთელს ერში, რათგანაც თავს უყრის ყველა ინტერესებს ერის ცენტრში, რომელიც სავსეა უწარსულო, ხალხითაო. ლუი ბლანი და ლამმენე ამბობდენ: ცენტრალიზაცია არის წყეთი ცენტრში და დამბლა პერიფერიებშიო. 1850 წელს რიდო, ამბობდა: „ცენტრალიზაცია ყველა საპროვინციო და სათემო საქმეთა, ყველა ინტერესთა, ყველა იდეათა, ყველა დიდებათა, დიდი ერის მთელის ცხოვრებისა მის მთავარ ქალაქში — აი რა არის ერთი მთავარი მიზეზთაგანი საფრანგეთის დაცემისა. რათგანაც მთავრობა თითქმის ყველაფერს განაგებს საფრანგეთში, მის ხელშია არსებობა აღურაცხელი ხალხისა და მისი გავლენა ვრცელდება მთხოვნელთა კიდევ უფრო დიდ რიცხვზედ. რათგანაც ქონება საზოგადოდ მცირეა, ყველას სურს განაძლიეროს თავისი კეთილდღეობა მით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილე გახდეს, და ამგვარად მთელი საფრანგეთია მთხოვნელი (ჩვენი „ადგილის მძებნელი“!). რაც შეეხება დეპარტამენტების საქმეებს, რომელიც მათი ფულით კეთდება, ის მარტო პრეფექტებს აბარია, საზოგადო საბჭოებს მარტო აზრსა ჰკითხავენ ერთხელ წელიწადში, ხოლო პრეფექტები აბსოლუტურად არიან დამოკიდებული მინისტრისაგან“. ამ მოხელეებს არა აქვსთ ნების-ყოფა, რათგან ცენტრს არ უნდა რომ მათ იგი ჰქონდეს. იგინი მხოლოდ დარბიან მუდამ სამხრეთითგან ჩრდილოეთისაკენ და ჩრდილოეთითგან სამხრეთისაკენ წარჩინებისათვის. გარეშე პარიზითგან მოსული ბრძანებისა იგინი უძლურნი არიან, და თუ შემთხვევით იძულებულნი შეიქმნენ, დამოუკიდებლად გადადგან ნაბიჯი, ემსგავსებიან ბრმებს, რომელთაც ხელ-მძღვანელი დაჰკარგეს. „ეს დამაღონებელი სურათი ვნახეთ საფრანგეთის უკანასკნელ რევოლუციის დროს და კიდევ ვნახავთო“, ამბობს როდო. საკმარისია რომელიმე პარტიამ „მაშინისტს“ შეურჩიოს დრო და მის ადგილას დადგეს და რევოლუციაც მზად იქმნებაო. დღესაც ბევრი იმ აზრისაა, რომ ხვალ შეუძლიათ ბოლშევიკებს დაიჭირონ პარლამენტი და ცენტრალური სადგური ტელეფონისა და რევოლუციაც მოხდება, რათგანაც არც ერთ პროვინციას არ ძალუძს წინააღმდეგობის გაწევაო. — ჩრდილოეთი საფრანგეთის გაზეთები

მუდამ სწერენ დეცენტრალიზაციის საკითხზედ. ჟორჟ ბლაშონ, ერთი თანამშრომელთაგანი მათი ამბობს: რატომ უნდა არსებობდეს საერთო ადმინისტრატიული წესი სავოელებისათვის, კორსიკელებისათვის, პროვანსელელებისათვის, ბრეტონებისათვის და სხვათათვის, რომელნიც განირჩევიან ურთი-ერთისაგან შემოქმედებითი ძალით, ზნე-ჩვეულებით და სხვა თვისებით? აბსოლუტური ერთფეროვნება წესთა რჩეულთა მოტყუებაა და სხვ. თუ ეს სისტემა აღარ ეთანხმება უკვე დიდი ხანია იმ მოსაზრებათ, რომლითაც იგი იყო შექმნილი, რატომ არ უნდა ვსცადოთ კუთხურად მოწყობა საფრანგეთის პროვინციათა, რაიცა სცადა ნეკერმა 1787 წელს და რამაც მყისვე კარგი შედეგები გამოიღოო? — გასკონელი დე ესკოლერო თავის პატარა წიგნში „პარიზელები და სამხრეთელები“ აღწერს იმ უბედურებას, რომელსაც განიცდის საფრანგეთი ცენტრალიზმისაგან და განსაკუთრებით პარიზის ბატონობისაგან. იგი პირდაპირ ამბობს: ვიცით რომ საერთაშორისო გამოფენა რომ მოეწყოს ბინძურ სარდაფთა, ალკოჰოლიზმისა, როსკიპობისა და პორნოგრაფიისა, პარიზი კონკურსის გარეშე იქმნებოდაო!—და ამ გასკონსაც ერთად-ერთ საშუალებად ქვეყნის განახლებისა მიაჩნია ფედერაცია კუთხეთა, ინიციატივა მათი ცხოვრების ყველა დარგში, თვით პარიზითგან მოშორება ფედერატიული მთავრობისა. — ბრეტანის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ სდგას. პატარა, მაგრამ ფრანგთაგან მაინც განსხვავებული ერია ბრეტონთა ერი. მათ სამი გაზეთი აქვსთ თავიანთ ენაზედ. — ერთი ბრესტელი კაცი მეუბნებოდაო, ამბობს ნოდო, — მოვა დრო და ბრეტონი ირლანდიასთან და უელსთან ერთად ერთ კელტურ ბლოკს შეადგენსო.—ამან კი კვლავ გამხადა ერთ წუთს ისევ ცენტრალისტადო, ამბობს ნოდო. მაგრამ, პირიქით, მისთვის აუცილებლობა ცენტრალიზმისა უფრო ნათელი უნდა გამხდარიყო, რათგანაც სწორედ ცენტრალიზმმა შეჰქმნა ასეთი ტენდენციები ბრეტანში, ფედერალიზმი კი, უზრუნველ-ჰყოფს რა ბრეტონთა ეროვნებას, აღარ მისცემს მათ მიზეზს, ზღვის გადაღმა ეძებოს მოკავშირე, რომ ეროვნულ ჩაგვრას თავი დააღწიოს. — ყოველ შემთხვევაში 18 აგვისტოს 1929 წლის კონგრესზედ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღეს ბრეტონებმა: ჩვენ არა ვართ სეპარატისტები. ჩვენ ვფიქრობთ რომ ევროპისა და მთელი ქვეყნის ახლანდელ მდგომარეობაში შეწყვეტა ყოველივე კავშირისა ბრეტონთა და საფრანგეთს შორის ჩვენი ქვეყნის წინაშე აღმართულ პრობლემათა მხოლოდ არა სრულ გადაწყვეტას მოგვიტანსო. მაგრამ ჩვენ უარ-ვყოფთ ასსიმილაციას, რომელიც საბედისწეროა ჩვენი ნივთიერი და ზნეობრივი ინტერესებისათვისო. — შემდეგ ბრეტანელები ამბობენ: „ჩვენ აღვნიშნავთ უკანონობას საფრანგეთის სახელმწიფოს ავტორიტეტისა, რომელიც გაბატონდა ჩვენს ქვეყანაზედ 1790 წელს გარეშე ხალხის თანხმობისა წინააღმდეგ 1532 წლის ხელშეკრულობისა. ჩვენ ვებრძვით მის ცენტრალიზმს, რომელიც ზედ-მეტად გვჩაგრავს, მისს იმპერიალიზმს, რომელიც მონაწილედ გვხდის ომთა ისეთი ინტერესებისათვის, რომელიც ჩვენი არ არის. ჩვენ წინააღვუდგებით მის უყურადღებობას ჩვენ ეკონომიურ საჭიროებათადმი, მის მიერ გაუგებრობას ჩვენ კულტურულ და ზნეობრივ მისწრაფებათა, მის მებრძოლ სიძულვილს ჩვენი ენისა. ჩვენ აღვნიშნავთ მის უნიჭობას, რომ შეუთანხმდეს რითმს მსოფლიოს საერთო განვითარებისას. ჩვენ ვფიქრობთ, ბოლოს, რომ ის, რასაც საფრანგეთს უწოდებენ, არ არის ერთი ერი, არამედ სახელმწიფო, რომელიც შესდგება ეროვნებათა განსაზღვრული რიცხვისაგანა“ო. — აქაც ნოდო შიშით ამბობს, თუ ეს ასეა, აროდეს არ მოვისურვებ საფრანგეთს მოსცილდეს რკინის ჯაჭვები ცენტრალიზმისაო, მაგრამ დასძენს: ხოლო თუ საფრანგეთის კუთხეთა პატრიოტიზმი ასეთი იქმნება, როგორიც იყო მისტრალისა, რომელიც ამბობდა: ჩემი პროვინციალური პატრიოტიზმი მხოლოდ ნაწილია ჩემი ფრანგული პატრიოტიზმისაო, მაშინ მეც კუთხის პარტიკულარიზმსაც სიმპატიებით შევხვდებიო.— საკვირველია აგრეთვე, რომ ცენტრალიზმი საფრანგეთშიაც ჰბადებს არა მარტო სხვა და სხვა კუთხეთა უკმაყოფილებას მთელი ცენტრალისტურად მოწყობილი სახელმწიფოსადმი, არამედ, როგორც ეს არის ჩვენში, პროვინციათა უკმაყოფილებას ურთი-ერთის წინააღმდეგ.

ბრეტონელი მორის დუჰამელი ამბობს: ჩვენ არ გვინდა რომ სახელმწიფო, რომლის ნაწილი ჩვენა ვართ, ჩაერიოს იმ საკითხებში, რომელიც მარტო ჩვენ შეგვეხება, რომელსაც ჩვენ ჩვენ შორის გადავწყვეტთ და რომელიც გამოდის მისი სფეროდან. მას შეეხება მხოლოდ ის საქმეები, რომელიც საერთოა ყველა იმ ხალხთათვის, რომელთაც იგი შეიცავს: ე.ი. გარეშე თავდაცვა, დიპლომატია, სხვა საზოგადოებრივი ფუნქციები საერთო ინტერესისა... ავტონომიური კუთხეებით, რომელთაც დაუბრუნდებათ თავიანთი ისტორიული სახე, საფრანგეთი გამოჩნდება მად, რაც ნამდვილად არის: სახელმწიფოდ, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ერთაგან. დასუსტდება იგი ამით? ჩვენი აზრით, პირიქით, იგი ამით გაძლიერდება. მართალია არა მწარმოებელ და ჩამორჩენილ კუთხეებს დაეკარგებათ პრივილეგიები, მაგრამ მთელი ფედერაცია ისარგებლებს ინიციატივის გაღვიძებით, რომელიც ბოლოს მოუღებს დამბლა-დამცემ ცენტრალიზმს. რაც შეეხება ტერრიტორიის დაცვას, იგი ისევე ნამდვილად და სინიდისიერად იქმნება დაცული, როგორც აქამდის იყოო“.— აი რასა თხოულობენ საფრანგეთის სხვა და სხვა კუთხეები და ბევრი ფრანგიც არის მათი მომხრე, თუ კუთხენი აღიარებენ, რასაკვირველია, მთელი საფრანგეთის ერთობას ფედერატიული კავშირით.

საფრანგეთში ბევრსა ჰგონია, რომ სხვა ქვეყნებშიაც ყველგან იგივე არისო. მაგრამ ეს არ არის მართალიო, ამბობს ნოდო. — საფრანგეთი დიდი ხნის განმავლობაში იყო აბსოლუტური მონარქია და დღესაც განიცდის სიმწვავეს ამის შედეგთა. თავისუფალი მოქმედება მას არ შეეძლო მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი საქმის იდეა არსებობდა ინგლისში ისე, რომ ამ იდეასთან არ იყო შეკავშირებული ადგილთა ძებნა, პორტფელებისაკენ მისწრაფება, დიდ-კაცობის მოპოება. ნამდვილი სკოლა თვით-მმართველობისა, ამბობდა პოლ დეშანელი 1895 წ., არის თემიო, და მას მოჰყავდა ტოკვილლის სიტყვები: „ერს შეუძლია შექმნას თავისუფალი მთავრობა, მაგრამ თუ არ არიან ადგილობრივნი დაწესებულებანი, მას არა აქვს სული თავისუფლებისაო“. უცხოეთშიო, ამბობდა დეშანელი, აღმასრულებელი ხელის-უფლება თემში კოლლექტიურია, საფრანგეთში კი პირადი და ერთნაირი. უცხოეთში ადგილობრივი ხელის-უფლება მრავალ-ფეროვანია, მისი ორგანოები მრავალი; მრავალი მოქალაქე აკეთებს საზოგადო საქმეს. საფრანგეთში კი მთელი ადგილობრივი ხელის-უფლება რამოდენიმე აგენტის ხელშია —პრეფექტისა, მისი თანაშემწესი და მამასახლისისა, და მხოლოდ მოქალაქეთა მცირე რიცხვს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საზოგადო საქმეებში. — ლონდონში 50.000 კაცი იღებს მონაწილეობას საუბნო კრებებზედ, როგორც წევრი საბჭოთა, ან მოხელე, ხოლო პარიზში მარტო 80! მარტო ინგლისში (უირლანდიოდ და უშოტლანდიოთ) 300 000 კაცი იღებს მონაწილეობას სხვა და სხვა ადგილს და სხვა და სხვა საზოგადო საქმეებში —გზათა, ჰიგიენისა და სხვა საქმეთა მოსაწყობად. საფრანგეთში კი სადაც მოსახლეობა უფრო დიდია ვიდრე თვით ინგლისში, მხოლოდ 36000 მოქალაქე იღებს მონაწილეობას საადმინისტრაციო საქმეებში, 14 ან 18 სამოქალაქო საბჭოს წევრი ბჭობს ოთხჯერ წელიწადში რამოდენიმე საათის განმავლობაში, 35 საზოგადო საბჭოთა წევრი ბჭობს ორჯელ წელიწადში რამოდენიმე დღის განმავლობაში, 4 ან 7 წევრი სადეპარტამენტო კომმისიისა ბჭობს რამოდენიმე საათს თვეში —ეს არის და ეს! ხოლო მოქალაქეთა მასსის საზოგადო საქმეებში მონაწილეობა მით განისაზღვრება, რომ ოთხ ან ექვს-წელიწადში ერთხელ არჩევნების დროს კენჭს ჩააგდებს. ამგვარად საფრანგეთი დემოკრატია კი არ არის. არამედ „ბიუროკრატია“ — და სხვა მრავალი მაგალითთა მოყვანა შეიძლებოდა, რომელთაგანაც ცხადი ხდება, თუ რა განსხვავებაა ამ მხრით საფრანგეთსა და სხვა ქვეყანათა შორის. —ინგლისელებს ვეროდეს გაეგოთ საფრანგეთის ორგანიზაცია. ლორდ პალმერსტონი ამბობდა 1852 წელს: „რესპუბლიკის არსებობა ისეთ ცენტრალისტურ ქვეყანაში, როგორიც არის საფრანგეთი, მე ყოველთვის რაღაც სავსებით ქიმერიულად და განუხორციელებლად მეჩვენებოდაო“. მორის დუჰამელის აზრით, პარლამენტს, რომელიც არის ერის ნების-ყოფის თეორიული ორგანო, მხოლოდ სახელმწიფოს საერთო საქმეები უნდა შეეხებოდეს. ნამდვილად კი ათას მეორე-ხარისხოვან საქმეს ედება, რომელშიაც არა ესმის რა, მაგრამ იძულებულია გადასწყვიტოს, რათგანაც იგი მთელი პოლიტიკური ხელის-უფლების ცენტრალიზაციაა და მის გარეშე არ არსებობს არც ერთი სხვა საკანონმდებლო ორგანო. მაგალითად, სურს რომელიმე თემს ოდნავ გაადიდოს გადასახადი წყლის გასაყვანად, ან აბანოს ასაშენებლად ან სხვა ამგვარი წვრილი საქმისათვის — საჭიროა კანონი! მეორეს სურს რომელიმე კომპანიასთან ხელ შეკრულება დასდვას ტრამვაის გასაყვანად —საჭიროა კანონი! საჭირო იყო კანონი, რომ მარსელის ქალაქის თავს დროებითი გადასახადი გაეწერა კანალის გასაკეთებლად მარსელში, საჭირო იყო კანონი ტრამვაის ელექტრიფიკაციისათვის გრაფფენშტადტში. მრავალი იყო ამგვარი შემთხვევები. და ამ „კანონთა“ დასადგენად საჭირო იყო შეკრება საპარლამენტო კომისსიისა, დანიშვნა მომხსენებლისა, დამტკიცება მოხსენებისა, დაბეჭდვა და გავრცელება მოხსენებისა, დღის წესრიგში შეტანა მთავრობასთან შეთანხმებით, კენჭის ყრა, შემდეგ გადაგზავნა მიღებული ტექსტისა სენატში და სხვ. საჭირო იყო ომის დროს ცხრა თვის განმავლობაში გამოძიება, ათი მოხსენება, ერთი დეკრეტი რესპუბლიკის პრეზიდენტისა, დაბეჭდილი Journal officiel-ში 21 თებერვალს 1917 წელს, იმისათვის, რომ ერთ მენახშირეს მისცემოდა უფლება ორთქლის მანქანით მუშაობისა განსაზღვრულ ადგილას. მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესოა ამავე გაზეთში დაბეჭდილი დეკრეტი პრეზიდენტისა, რომელსაც წინ უძღვის უთვალავი რიცხვი მოხსენებათა: მ უ ხ ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი. მედონის თემს ეძლევა უფლება შეინახოს, მოუაროს, საშარდე ფეხის ადგილი, რომელიც სდგას ბელლვიუს პროსპექტის ხიდისახლოს, რკინის-გზის პირას, რომელიც პარიზ-მონპარნასითგან ვერსალისაკენ მიდის“.

—პატარა ქალაქს რომ სადგურზედ ელექტრონის ლამპრებით სურდეს შეცვლა ძველი გაზის ლამპებისა, საქმე პრეზიდენტის დეკრეტამდე უნდა მივიდეს. —მთელს საფრანგეთს აქვს ამგვარად მძიმე ტვირთად ერთ-ფეროვანი წესები ცენტრალისტური ორგანიზაციის მიერ დადებული. ეს არის მიზეზი საფრანგეთის პროვინციათა ჩამორჩენილობისა დახშირად პირდაპირ დამბლა დაცემულობისა. რაოდენად უკეთესი იქმნებოდა ქვეყნისათვის, რომ ყოველ დღიური მნიშვნელობის საქმეები ადგილობრივმა ორგანოებმა გადასწყვიტონ, რომელსაც ექმნება პირდაპირი კავშირი ხალხთან, რომლის საჭიროებანი მისთვის გასაგებნი იქმნებიან. —

ორი წლის დაკვირვებამ ჩვენი ცხოვრებისა დამარწმუნა, რომ დეცენტრალიზაცია მისი საჭიროაო, ამბობს ნოდო. მე ეს საჭიროება ვიგრძენ ისე, როგორც ამას გრძნობდენ სხვები, დაწყებული ბენჟამენ კონსტანითგან კლემანსომდე და ბრიანამდე, რომელთაც სურდათ დეცენტრალიზაცია, მაგრამ მათი სურვილი ვერ განახორციელესო.

რა უშლის ხელს ცენტრალიზმის მოსპობას? შიში ერის დაშლისა და სხვა არაფერი. რიშელიესაგან და ლუდოვიკ მე-XIV-საგან უმწვერვალეს ხარისხამდე განვითარებული ცენტრალიზმი, განმტკიცებული კონვენტის დიქტატურისა და ნაპოლეონის დესპოტიზმისაგან —აი ისტორიული ჯაჭვი, რომელიც აერთებს საფრანგეთის შემადგენელ ელემენტებს, მაგრამ რომელიც თავისი სიმძიმით სჭყლეტს მთელს ერს. —შიში, რომ გაიღვიძებს და გაცოცხლდება სხვა და სხვა ეთნიური ელემენტი საფრანგეთში, გაცოცხლდებიან ენები, რომ ეს გაცოცხლებული წარსული ცალკე კუთხეთა შეასუსტებს საფრანგეთის ერთობას, აი ნამდვილი დაბრკოლება დეცენტრალიზაციისათვის. მაგრამ ნუ თუ მხოლოდ ამ ძალით ერთობაზედაა დამყარებული საფრანგეთის ერთობა? ნუ თუ პრობლემა ასე სდგას: ან დახრჩობა ცენტრალიზმით, ან დაშლა ერისა? ნოდოს არა სწამს ეს. მას ერის მთლიანობა სწამს, იგი არსებობს საფრანგეთის ყოველი კუთხის შეგნებაში, და როგორცა სწამდა მორრის ბარრეს, რომელიც უდიდესი პატრიოტი იყო ფრანგი, მაგრამ იმავე დროს ლოთრინგელი, მთლიანობა საფრანგეთის ერისა, ისე ყოველი შეგნებული ფრანგი პატრიოტი იმდენად უფრო იწამებს დიდი სამშობლოს ერთობას, რამდენადაც მის სამშობლო კუთხეს სახელმწიფო ადგილობრივ თავისუფლებას მიანიჭებს.

მ. წერეთელი.

Imp. METTHEZ FRERES, MONTBÉLIARD-HÉRIMONCOURT

L Gérant : Félix KALDENBACH.